

საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1537

2021 წლის 31 აგვისტო

ქ. თბილისი

„კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული №1 დანართის („კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხა და ჩატარების წესი“):

ა) პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ს¹“ ქვეპუნქტი:

„ს¹) საქართველოს ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების, აგრეთვე სსიპ – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის თანამშრომლები;“;

ბ) 4⁴ პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4⁵ პუნქტი:

„4⁵. ამ წესის პირველი პუნქტის „ს¹“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები ტესტირებას ექვემდებარებიან ყოველ 7 დღეში ერთხელ.“.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

